

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გეიდარ მუსაევის დამია-გეურარხის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების მოსახლეობასთან შეხვედრის

ოქმი N1

ქ. მარნეული

„-12-„09-.2019

წელი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - გეიდარ მუსაევი, მამუკა ნავერიანი, ბესიკ გელენიძე, გივი გიორგაძე, რომან ტაბატაძე, როვმან ისკანდაროვი.

სხდომას ესწრებოდა- დამია-გეურარხის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების: დამია-გეურარხი, ახლოლალო, კიროვკა, დამიას მოსახლეობა, ასევე საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი თამაზ ნავერიანი, მარნეულის მაჟორიტარის პარლამენტის წევრის თამაზ ნავერიანის ბიუროს უფროსი აგილ ამირჯანოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან, არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის და გენდერული საკითხების განყოფილების სპეციალისტები არჩილ მდივნიშვილი, ხომგადამ ნოვრუზხალოვა და მარიანა გვრიტიშვილი

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, დამია-გეურარხის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის გეიდარ მუსაევის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, დამია-გეურარხის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა გეიდარ მუსაევმა დამია-გეურარხის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების (დამია-გეურარხი, ახლოლალო, კიროვკა, დამია) მოსახლეობას წარუდგინა 2019 წლის ანგარიში. საკრებულოს წევრი შეეხო დამია-გეურარხის ადმინისტრაციულ ერთეულში 2019 წელს განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს. აღინიშნა, რომ მიმდინარე წელს სოფელ დამია-გეურარხის მდინარე დებედას ნაპირსამაგრი სამუშაოები შესრულდა, შიდა გზების

რეაბილიტაცია, კომბინირებული მინი ფეხბურთისა და კალათბურთის მოედნის მოწყობის სამუშაოები, წყალსადენი ქსელის რეაბილიტაცია, საჯარო სკოლის სახურავისა და კარ-ფანჯრების მოწყობა, ასევე ამბულატორიის რეაბილიტაცია განხორციელდა. სოფელ ახლოლალოში შიდა გზების რეაბილიტაცია და გარე განათების მოწყობის სამუშაოები ჩატარდა. სოფელ კიროვკაში მისასვლელი და შიდა გზების მოასფალტდა, სარწყავი არხების და წყაროს წყლის რეაბილიტაცია განხორციელდა. სოფელ დამიაში გარე განათების მოწყობა და შიდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები შესრულდა.

აზრი გამოთქვას: მოსახლეობამ ისაუბრა იმ პრობლემებზე, რომელიც აწუხებს სოფელი დამია-გეურარხის მოსახლეობას. ჩამოთვლილი პრობლემებიდან ყველაზე აქტუალურია შიდა გზების მოასფალტება, საბავშვო ბაღი, ნაგვის ურნების არქონა და სასმელი წყლის რეაბილიტაცია.

სოფელი ახლოლალოს მოსახლეობამ სოფლის მთავარ პრობლემად მინი სტადიონი, სასმელი წყლის რეაბილიტაცია, ნაგვის ურნები და შიდა გზების რეაბილიტაცია დაასახელა.

სოფელი კიროვკას მოსახლეობამ პრიორიტეტულ პრობლემად სკოლის მშენებლობა, შიდა გზების რეაბილიტაცია, გარე განათება, სკოლებში ქართული წიგნები, სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია.

სოფელი დამიას მოსახლეობამ სოფლის პრობლემად სოფლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, მინი სტადიონის მშენებლობა, ნაგვის ურნები, საზოგადოებრივი ტრანსპორტის დანიშვნა სოფელში, საბავშვო ბაღის ეზოს შემოღობვა, სარწყავი წყლის რეაბილიტაცია, სკოლის შენობის გათბობის სისტემით აღჭურვა.

გადაწყვეტეს: მოსახლეობამ დადებითად შეაფასა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, დამია-გეურარხის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის გეიდარ მუსაევის გაწეული მუშაობის ანგარიში.